ტესტი ისტორიაში

III ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 1-35.

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. რომელი უძველესი სახელმწიფო მიეკუთვნება სამდინარო ცივილიზაციას?

ა) სპარსეთი;

ბ) მიდია;

გ) ეგვიპტე;

დ) ურარტუ.

(1) 2. რომელი ინფორმაციაა მართებული აქემენიანთა სპარსეთის შესახებ?

ა) ქსერქსე I-მა შექმნა მსოფლიოში პირველი ბიბლიოთეკა;

ბ) არტაქსერქსე II-ის ბრძანებით პირველი ზიქურატი აიგო;

გ) დარიოს I-მა სპარტა დაიმორჩილა;

დ) კიროს II-მ ბაბილონი დაიპყრო.

(1) 3. რომელი ინფორმაციაა მართებული თერმოპილეს ბრძოლის შესახებ?

ა) უკანასკნელი ბრძოლა იყო ათენის დაცემის შემდეგ, რომელმაც ომის ბედი სპარსელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა;

ბ) ბერძენთა გემებმა ფაქტობრივად გაანადგურეს სპარსელთა ფლოტი, რომლის მხოლოდ რამდენიმე ხომალდი გადარჩა;

გ) სპარსული კავალერია და გვარდია დაამარცხა ბერძენთა გაერთიანებულმა ლაშქარმა თებეს მისადგომებთან;

დ) ბრძოლა გაიმართა ვიწრო ხეობაში, სადაც ბერძნებმა სპარსელთა მრავალრიცხოვანი არმია დროებით შეაჩერეს.

(1) **4. როგორ დასრულდა პირველი პუნიკური ომი?**

ა) რომი დაეუფლა კუნძულ სიცილიას;

ბ) კართაგენმა დათმო ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ სანაპირო;

გ) რომმა ნილოსის დელტაში მდებარე ქალაქები დაიმორჩილა;

დ) კართაგენმა მხოლოდ ადრიატიკის ზღვაზე ნაოსნობის უფლება შეინარჩუნა.

(1) **5. ვინ დაიპყრო გალია ძვ.წ. I საუკუნეში?**

ა) გნეუს პომპეუსმა;

ბ) კორნელიუს სციპიონმა;

გ) მარკუს კრასუსმა;

დ) იულიუს კეისარმა.

(1) 6. რომელი ინფორმაციაა მართებული იმპერატორ ტიბერიუსის მმართველობისას განვითარებულ მოვლენებზე?

ა) რომში დიდი ამალით ჩავიდა ქართლის მეფე;

ბ) გამწვავდა ბრძოლა სომხეთისთვის, რომელშიც ქართლის მეფეც ჩაერთო;

გ) ლეგიონერთა მონაწილეობით გამაგრდა ქართლის დედაქალაქის თავდაცვითი კედლები;

დ) აღმოსავლეთ საქართველოში აჯანყების ჩასახშობად პრეტორიანული გვარდია გაიგზავნა.

(1) **7. რომელი ინფორმაციაა მართებული გერმანული ტომების ბრიტანეთში დამკვიდრების შესახებ?**

ა) კუნძულზე გადასულმა ანგლებმა, საქსებმა და იუტებმა დაიპყრეს ადგილობრივთა მიწები და რამდენიმე სამეფო ჩამოაყალიბეს;

ბ) რომაელების მიერ ჩასახლებულმა ანგლებმა, ოსტგოთებმა და ფრანკებმა საკუთარი სახელმწიფო შექმნეს;

გ) რომაელების მიერ განადგურებული ადგილობრივი მოსახლეობის მიწები მომთაბარე საქსებმა, ვესტგოთებმა და ლანგობარდებმა დაიკავეს;

დ) ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების გამო სვევები, ხერუსკები და იუტები კუნძულზე გადასახლდნენ და გარკვეული დროით წარმართობა შეინარჩუნეს.

(1) **8. რომელი ინფორმაციაა მართებული რომის პაპის ლეო I-ის შესახებ?**

ა) მოიწვია პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება;

ბ) გამოსცა მილანის ედიქტი, რომლითაც შეწყდა ქრისტიანთა დევნა;

გ) შეხვდა ატილას და გადააფიქრებინა რომზე ლაშქრობა;

დ) ააკრძალინა იმპერატორ ჰონორიუსს გლადიატორთა ბრძოლები.

(1) **9. ვინ გაანადგურა ვანდალთა სამეფო?**

ა) პორტუგალიის მეფემ დაგისთემ;

ბ) ბიზანტიელმა სარდალმა ველისარიუსმა;

გ) ჰუნების ბელადმა ოდოაკრმა;

დ) ესპანეთის მარკგრაფმა სტილიქონმა.

(1) **10. რომელი ინფორმაციაა მართებული თბილისის ამირა საჰაკის შესახებ?**

ა) არაბთა მიერ დანიშნული პირველი ამირა იყო და იბრძოდა ქართველი მთავრების წინააღმდეგ;

ბ) მისი ამირობისას თბილისში აირჩიეს პირველი კომუნა, რაც თვითმართველობის დაწყებას ნიშნავდა;

გ) ამირობის შესანარჩუნებლად თავი საქართველოს მეფის ვასალად აღიარა და ყოველწლიური ხარკი იკისრა;

დ) როგორც ამირა აღარ ემორჩილებოდა ხალიფას და ამიტომ მის წინააღმდეგ დამსჯელი ჯარი გამოგზავნეს.

(1) 11. რა თანამდებობა ეკავა კარლოს მარტელს სამეფო კარზე?

ა) მაიორდომის;

ბ) კონეტაბლის;

გ) სტიუარდის;

დ) კანცლერის.

(1) **12. რას ეწოდება საგა?**

ა) ნორმანების მითებსა და ლეგენდებს;

ბ) მადიარების რიტუალებსა და ადათებს;

გ) გოთების ზეპირ გადმოცემებს;

დ) გალების ტრადიციულ სამართალს.

(1) 13. რომელი სახელმწიფოს მმართველებს ჰქონდათ უარყოფითი დამოკიდებულება X საუკუნის მეორე ნახევარში ევროპაში იმპერატორის ტიტულის აღდგენაზე?

ა) იტალიის;

ბ) ბიზანტიის;

გ) ინგლისის;

დ) ესპანეთის.

(1) **14. რა იყო 1077 წელს კანოსაში პაპ გრიგოლ VII-ისა და იმპერატორ ჰაინრიხ IV-ის შეხვედრის შედეგი?**

ა) იმპერატორმა გამოაცხადა დიდი სქიზმის დასრულება;

ბ) პაპმა აღიარა იმპერატორის უზენაესობა;

გ) პაპმა იმპერატორს ეკლესიიდან განკვეთა მოუხსნა;

დ) დადგინდა პაპისა და იმპერატორის არჩევის წესები.

(1) **15. სად მიმდინარეობდა სამხედრო მოქმედებები იმ ჯვაროსნული ლაშქრობისას, რომლის მონაწილეებმაც დახმარება საქართველოს მეფე გიორგი IV-ს სთხოვეს?**

ა) მცირე აზიაში;

ბ) პალესტინაში;

გ) შუამდინარეთში;

დ) ეგვიპტეში.

(1) **16. რომელი მსჯელობაა მართებული კავკასიაში მონღოლთა პირველი ლაშქრობის შესახებ?**

ა) ქართველთა ჯარის სიძლიერის გამო მონღოლებმა ბრძოლას თავი აარიდეს, დარიალის გზით ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდნენ და მდინარე თერგთან ალანები დაამარცხეს;

ბ) საქართველოს სამეფო კართან მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ გამართულ ბრძოლაში მონღოლებმა გაიმარჯვეს, მაგრამ მალევე დატოვეს ქვეყანა და რუმის სულთნის წინააღმდეგ დაიძრნენ;

გ) ბრძოლაში ქართველების დამარცხების შემდეგ, მონღოლები დარუბანდის გზით ჩრდილოეთით გაემართნენ და მდინარე კალკაზე კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს;

დ) საქართველოს მეფემ უარყო მონღოლების ულტიმატუმი და ჯარის შეკრება დაიწყო, მაგრამ მონღოლებმა დაასწრეს და თბილისი აიღეს. თუმცა ქალაქი მალევე დატოვეს და უკან გაბრუნდნენ.

(1) **17. რომელი ინფორმაციაა მართებული შუა საუკუნეების ევროპის ქალაქების შესახებ?**

ა) ჰქონდათ დამოუკიდებელი მმართველობა;

ბ) სავალდებულო იყო იმპერატორის თანხმობა ამქრების დაარსებაზე;

გ) ფლობდნენ ახლად აღმოჩენილ მიწებზე კოლონიების დაარსების ექსკლუზიურ უფლებას;

დ) აუცილებლად სჭირდებოდათ პაპის თანხმობა საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობისთვის.

(1) **18. რომელი მსჯელობაა მართებული მეექვსე ჯვაროსნული ლაშქრობის შესახებ?**

ა) რომის პაპის მიერ ეკლესიიდან განკვეთილმა იმპერატორმა ფრიდრიხ II-მ მაინც გაილაშქრა აღმოსავლეთში. ეგვიპტის სულთანთან მოლაპარაკებების შემდეგ იერუსალიმი გაათავისუფლა და ქრისტიანებს დაუბრუნა;

ბ) იმპერატორმა ფრიდრიხ II-მ შეძლო რომის პაპთან მოლაპარაკება, კონკორდატის გაფორმება და ლაშქრობაში წასვლის უფლება მოიპოვა. ასკალონის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ კი იერუსალიმი გაათავისუფლა;

გ) პაპსა და იმპერატორ ფრიდრიხ II-ს შორის წინააღმდეგობა საფრანგეთის მეფის შუამავლობით დასრულდა. მათი გაერთიანებული ჯარი სალაშქროდ გაემართა და იერუსალიმი რამდენიმე თვიანი ალყის შემდეგ გაათავისუფლა;

დ) იმპერატორ ფრიდრიხ II-ის თხოვნის შემდეგ პაპმა ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა, რამაც მრავალრიცხოვანი ჯარის შეკრება გააადვილა. ქრისტიანთა ჯარის მოახლოებით შეშინებულმა სულთანმა იერუსალიმი უბრძოლველად დატოვა.

(1) 19. საღვთო რომის იმპერიის რომელი მმართველი დაუპირისპირდა პროტესტანტ გერმანელ მთავრებს XVI საუკუნეში?

ა) ლეოპოლდ IV;

ბ) რუდოლფ I;

გ) კარლოს V;

დ) ფერდინანდ III.

(1) **20. რომელი ინფორმაციაა მართებული საფრანგეთში შარლ IX-ის მმართველობის პერიოდში განვითარებული მოვლენის შესახებ?**

ა) საბოლოოდ გაუქმდა პარიზის პარლამენტი;

ბ) ქვეყანაში რელიგიური ომები მძვინვარებდა;

გ) სამეფო კარი ვერ გაუმკლავდა ფრონდას;

დ) სახელმწიფო ოცდაათწლიან ომში ჩაება.

(1) 21. რომელი ინფორმაციაა მართებული XVI საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში არსებული ვითარების შესახებ?

ა) მარაბდის ბრძოლაში დამარცხების შემდეგ ოსმალებმა ქართლ-კახეთი დატოვეს;

ბ) შეიქმნა მორიგე ჯარი, რომელმაც ლეკიანობა აღკვეთა;

გ) კახელმა ბაგრატიონებმა ქართლისა და კახეთის სამეფოები გააერთიანეს;

დ) ქართლის სამეფო ირანელთა აგრესიის წინააღმდეგ იბრძოდა.

(1) 22. რომელი ინფორმაციაა მართებული ინგლისის სამოქალაქო ომის ერთ-ერთი შედეგის შესახებ?

ა) ცამეტმა ამერიკულმა კოლონიამ დამოუკიდებლობა მიიღო;

ბ) კათოლიკურმა სამღვდელოებამ პრივილეგიები დაიბრუნა;

გ) პარლამენტმა მეფის არჩევის უფლება მოიპოვა;

დ) მონარქიის ნაცვლად რესპუბლიკა შეიქმნა.

(1) 23. ვინ ჩაუდგა სათავეში ნიდერლანდელ რევოლუციონერებს XVI საუკუნეში?

ა) ერაზმ როტერდამელი;

ბ) კარლოს ჰაბსბურგი;

გ) ალბრეხტ ვალენშტაინი;

დ) ვილჰელმ ორანელი.

(1) **24. რომელი მსჯელობაა მართებული ოცდაათწლიანი ომის შესახებ?**

ა) ნორვეგიის მეფე ომში პროტესტანტთა მხარეს ჩაერთო, თუმცა მას შემდეგ, რაც იმპერატორმა ჩრდილოეთ გერმანიაში მიწები უბოძა, ნეიტრალიტეტი გამოაცხადა;

ბ) ოსმალეთის სულთანმა სცადა ესარგებლა გერმანულ მიწებზე გაჩაღებული ომით, თავს დაესხა ჰაბსბურგების სამფლობელოებს და ალყა შემოარტყა ვენას;

გ) საფრანგეთი ომში აქტიურად მონაწილეობდა და როგორც საღვთო რომის იმპერატორის, ისე ესპანეთის მეფის ჯარის წინააღმდეგაც იბრძოდა;

დ) ინგლისი თავდაპირველად ნეიტრალურ პოზიციას იკავებდა, თუმცა ტიუდორების დინასტიის გამეფების შემდეგ ომში პროტესტანტთა მხარეს ჩაერთო.

(1) **25. რომელი ინფორმაციაა მართებული XVIII საუკუნის დასასრულს საფრანგეთში რევოლუციის შედეგად განვითარებული მოვლენის შესახებ?**

ა) დიდმა ბრიტანეთმა რევოლუციური საფრანგეთი ტერიტორიული დათმობების სანაცვლოდ აღიარა;

ბ) ავსტრია მხარს უჭერდა და აიარაღებდა ფრანგ რევოლუციონერებს;

გ) პრუსიის სამეფო საფრანგეთის წინააღმდეგ ომში ჩაერთო;

დ) აშშ საფრანგეთის სამეფო კარს ჯარით დაეხმარა.

(1) 26. რომელ სახელმწიფოს დაეკისრა კონტრიბუციის გადახდა აუსტერლიცის ბრძოლის შემდეგ?

ა) რუსეთს;

ბ) ავსტრიას;

გ) პრუსიას;

დ) საფრანგეთს.

(1) 27. რომელი მოვლენით დასრულდა იტალიის გაერთიანება XIX საუკუნეში?

ა) იტალიის სამეფოს ჯარის მიერ რომის აღებით;

ბ) გარიბალდის მიერ სიცილიის შემოერთებით;

გ) კავურის პრემიერ-მინისტრად დამტკიცებით;

დ) პირველი პარლამენტის შეკრებით.

(1) **28. რომელი ინფორმაციაა მართებული ყირიმის ომის ერთ-ერთი შედეგის შესახებ?**

ა) შავი ზღვა ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა;

ბ) სევასტოპოლს პორტო-ფრანკოს სტატუსი მიენიჭა;

გ) ოსმალეთმა ყირიმის ნახევარკუნძული დაიბრუნა;

დ) ბალკანეთზე რუსეთის გავლენა გაიზარდა.

(1) **29. სხვა მიზეზებთან ერთად, რა უშლიდა ხელს გერმანიის გაერთიანებას?**

ა) ჩრდილოეთის გერმანულ სახელმწიფოებში უმეტესად პროტესტანტიზმი, ხოლო სამხრეთის პოლიტიკურ ერთეულებში კი კათოლიციზმი იყო გავრცელებული;

ბ) ორი ყველაზე დიდი გერმანული სახელმწიფოდან ერთში მონარქიული, ხოლო მეორეში რესპუბლიკური წყობა იყო;

გ) ნაპოლეონის ომებმა დეცენტრალიზაცია გააძლიერა, რადგან ავსტრია და პრუსია რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულად დაიშალა;

დ) ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით დასავლეთ გერმანული სამთავროები დიდი ბრიტანეთის გავლენის სფეროში შედიოდა.

(1) 30. ვინ იყო რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი?

ა) პეტრე I;

ბ) პავლე I;

გ) ნიკოლოზ II;

დ) ალექსანდრე II.

(1) **31. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დაშლა?**

ა) საბჭოთა რუსეთის თავდასხმამ;

ბ) ოსმალეთის აგრესიამ სამხრეთ კავკასიაში;

გ) პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებამ;

დ) ბრიტანელების მიერ ბათუმისა და ბაქოს დაკავებამ.

(1) **32. რომელი სახელმწიფო *<u>არ იყო</u>* ერთა ლიგის წევრი?**

ა) იტალია;

ბ) საფრანგეთი;

გ) დიდი ბრიტანეთი;

დ) აშშ.

(1) **33. რომელი ინფორმაციაა მართებული ქართველი ბოლშევიკების ერთი ნაწილის - ნაციონალ-უკლონისტების შესახებ?**

ა) მოითხოვდნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს ცალკე რესპუბლიკად შესვლას;

ბ) მხარს უჭერდნენ ავტონომიური ერთეულების შექმნას და უნიტარულ მოწყობას აკრიტიკებდნენ;

გ) ოპოზიციური პარტიების დევნასა და ლიკვიდაციას ეწინააღმდეგებოდნენ;

დ) ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორად კერძო საკუთრების დაშვება მიაჩნდათ.

(1) 34. რომელი სახელმწიფო ეხმარებოდა გენერალ ფრანკოს ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს?

ა) დიდი ბრიტანეთი;

ბ) საფრანგეთი;

გ) გერმანია;

დ) საბჭოთა კავშირი.

(1) **35. რას ითვალისწინებდა მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის მიერ შემუშავებული გეგმა „ბარბაროსა“?**

ა) ბლიცკრიგს საფრანგეთში;

ბ) თავდასხმას საბჭოთა კავშირზე;

გ) საჰაერო იერიშებს ბრიტანეთზე;

დ) სამხედრო ოპერაციებს ჩრდილოეთ აფრიკაში.

ინსტრუქცია დავალებისათვის № 36.

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 6.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



კითხვები იხილეთ

შემდეგ გვერდზე

(1) **36.1. წითელი ფერით აღნიშნული სახელმწიფოს რომელი მმართველის მოღვაწეობის პერიოდში მიმდინარე საომარი მოქმედებები არის ასახული რუკაზე?**

ა) იუსტინიანე I-ის;

ბ) თეოდოსიუს I-ის;

გ) ჰერაკლეს;

დ) ტრაიანეს.

(1) **36.2. რუკის მიხედვით, რომელი ინფორმაცია მართებული ქართლში განვითარებული მოვლენების შესახებ?**

ა) ქართლის დედაქალაქი ალყის შედეგად დაეცა;

ბ) ალანების ტომმა ჩრდილოეთიდან შეუტია ქართლს;

გ) ქართლის ჯარმა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქიდან ლაშქრობა წამოიწყო;

დ) მწვანე ფერის ისრით აღნიშნულმა ლაშქარმა ქართლში გამართულ ბრძოლაში გაიმარჯვა.

(1) **36.3. რომელი პოლიტიკური ერთეულია აღნიშნული რუკაზე მწვანე ფერით?**

ა) პართია;

ბ) სასანიანთა სახელმწიფო;

გ) უმაიანთა სახალიფო;

დ) სელევკიდების სირია.

(1) 36.4. რუკის მიხედვით, წითელი ფერით აღნიშნულ სახელმწიფოში მდებარე რომელი ქალაქი აიღეს ყველაზე ადრე?

ა) თესალონიკი;

ბ) იერუსალიმი;

გ) ანტიოქია;

დ) ნაისუსი.

(1) **36.5. რუკის მიხედვით, რომელი ინფორმაციაა მართებული მდინარე დუნაის მახლობლად მცხოვრები ტომის შესახებ?**

ა) შეუტიეს ქალაქ ქერსონესს, მაგრამ მისი დაკავება ვერ შეძლეს;

ბ) დაამარცხეს კასპიისა და შავი ზღვის ჩრდილოეთით მცხოვრები ტომები;

გ) შეუტიეს მწვანე ფერით აღნიშნული პოლიტიკური ერთეულის დედაქალაქს;

დ) თავს ესხმოდნენ წითელი ფერით აღნიშნულ სახელმწიფოს, თუმცა მისი დედაქალაქი ვერ აიღეს.

(1) **36.6. რუკის მიხედვით, როგორ განვითარდა მოვლენები წითელი და მწვანე ფერის ისრებით აღნიშნულ ჯარებს შორის გამართული უკანასკნელი ბრძოლის შემდეგ?**

ა) დაეცა ქალაქი დასტაგირდი;

ბ) დაიწყო ლაშქრობა ქალაქ დვინის მიმართულებით;

გ) დასრულდა მწვანე ფერით აღნიშნული სახელმწიფოს დედაქალაქის ალყა;

დ) წითელი ფერით აღნიშნული სახელმწიფო ომში დამარცხდა და ზავი ითხოვა.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 37.

ყურადღებით წაიკითხეთ დავალება და უპასუხეთ დასმულ კითხვებს.

37.1 კითხვაზე უპასუხეთ კონკრეტულად მოთხოვნილი მიზეზი ან შედეგი. ზოგადი ხასიათის მიზეზისა და შედეგის დასახელება არ შეფასდება. ამასთანავე, პასუხი არ უნდა შეიცავდეს ფაქტობრივ შეცდომას.

37.2 და 37.3 დავალებები შეფასდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პასუხებს ახლავს ლოგიკური არგუმენტები, რომლებიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას. მხოლოდ დასახელება, არგუმენტის გარეშე, არ ფასდება.

37.4 დავალება არ შეფასდება შემდეგ შემთხვევებში: ა) მოტანილია მხოლოდ ანალოგია და არ არის დასასაბუთებლად მოტანილი არგუმენტები; ბ) მოტანილია არგუმენტები ანალოგიის დასასაბუთებლად, მაგრამ არ არის დასახელებული თავად ანალოგია; გ) დასახელებული ანალოგია და დასასაბუთებლად მოტანილი არგუმენტები ურთიერთშეუსაბამოა.

დავალების მაქსიმალური ქულაა 5.

დავალება 37.

1555 წელს აუგსბურგის ზავი გაფორმდა.

კითხვები:

(1) 37.1. დაასახელეთ ამ ზავის ერთი კონკრეტული შედეგი.

(1) 37.2. საზოგადოების რომელი ჯგუფისთვის იყო ზავის პირობები დადებითი შედეგის მომტანი? აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი თქვენი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(1) 37.3. საზოგადოების რომელი ჯგუფისთვის იყო ამ ზავის პირობები უარყოფითი შედეგის მომტანი? აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი თქვენი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(2) 37.4. დაასახელეთ ანალოგიური მოვლენა XVI-XVII საუკუნეების ევროპის ისტორიიდან. აუცილებლად მოიტანეთ ორი არგუმენტი ამ ანალოგიის დასადასტურებლად.

ინსტრუქცია დავალებისათვის №38.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 14.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

1819-1820 წლების აჯანყება

საეკლესიო რეფორმის ჩატარების ცდამ იმერეთსა და გურიაში მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. იგი აჯანყების ერთ-ერთი მიზეზი გახდა. მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ ეპარქიათა რიცხვისა და საეკლესიო მსახურთა შემცირებას მოჰყვებოდა საეკლესიო გადასახადების შემცირება, მაგრამ მოხდა პირიქით - საეკლესიო რეფორმით გლეხთა საეკლესიო გადასახადები გაიზარდა. საეკლესიო რეფორმა მიზნად ისახავდა სახაზინო შემოსავლის გაზრდას არა მარტო საეკლესიო ქონება-შემოსავლის ხაზინაში გადარიცხვით, არამედ ყმა გლეხების საკლესიო გადასახადების გაზრდითაც.

რეფორმით უკმაყოფილო იყო მაღალი სამღვდელოება, რომელიც კარგავდა მნიშვნელოვან შემოსავალს. მსხვილი მამულები და მრავალი ყმა გააჩნდა ეკლესიებს აგრეთვე სამეგრელოსა და გურიაში. უკმაყოფილო იყო დაბალი სამღვდელოებაც. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ეკლესიებისა და საეკლესიო მსახურთა შტატის შემცირების შედეგად უადგილოდ დარჩა. უკმაყოფილონი იყვნენ საეკლესიო აზნაურებიც, რომლებსაც რეფორმით დაუსახლებელ სახაზინო მიწებზე გადასახლება მოელოდათ. ამგვარად, რეფორმით უკმაყოფილო იყო მოსახლეობის ყველა ფენა.

საეკლესიო ქონების აღწერა და რეფორმის გატარება იმერეთში დაიწყო 1819 წლის ივნისში. მოსახლეობამ გაიგო რეფორმის მიზნები და მთელი იმერეთი აჯანყდა. საქართველოს მთავარმართებელი გენერალი ერმოლოვი ამ დროს ჩრდილო-კავკასიაში

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

იმყოფებოდა. მის ნაცვლად დატოვებული იყო საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი გენერალი ველიამინოვი.

აჯანყებულებში თანდათან გავრცელდა ლოზუნგი „სამშობლოს გათავისუფლება!“ იმერელმა თავადებმა, ისე როგორც ქართლ-კახეთის თავადებმა ქართლის მთიანეთისა და კახეთის აჯანყებათა დროს, ტრადიციული პოზიცია დაიკავეს - ნაწილი თავადებისა აჯანყებას მიემხრო, ნაწილი რუსეთის მხარეზე დადგა, ხოლო ნაწილი უფრო ხელსაყრელ მომენტს უცდიდა.

იმერელმა თავადებმა იმერეთის მეფედ ივანე აბაშიძე გამოაცხადეს.

1820 წლის დასაწყისში რუსთა სარდლობამ უკვე დიდძალი ჯარი შეაგროვა იმერეთში. მთავრობა აჯანყებულთა წინააღმდეგ გადამწყვეტ მოქმედებას შეუდგა.

1820 წლის 4 მარტს დააპატიმრეს: მიტროპოლიტები დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გენათელი, სოლომონ I-ის ასული დარეჯანი, სეხნია წულუკიძე და მდივანბეგი დავით მიქელაძე. ესენი მთავრობას აჯანყების მოთავეებად მიაჩნდა. ივანე აბაშიძემ მოახერხა გაქცევა და თავი გურიას შეაფარა. აღნიშნულ პირთა დაპატიმრებამ აჯანყების ალი ვერ ჩააქრო. პირიქით, აპრილში აჯანყება ახალი ძალით გაიშალა, განსაკუთრებით გურიასა და რაჭაში.

იმერეთისა და გურიის აჯანყების ჩასაქრობად ამიერკავკასიის სარდლობამ 1820 წლის 20 აპრილს გაგზავნა სამხედრო ექსპედიცია, რომელსაც გენერალი ველიამინოვი ხელმძღვანელობდა. მას დაევალა

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

სასტიკად გასწორებოდა აჯანყებულებს. განსაკუთრებით დაარბიეს რაჭა.

აჯანყება დამარცხდა. „ამბოხებული სოფლები გავანადგურეთ და გადავბუგეთ. ბაღები და ვენახები ძირებამდე ავჩეხეთ, მრავალი წლის შემდეგაც ვერ აღიდგენენ მოღალატენი პირვანდელ მდგომარეობას“, - ასე იკვეხნიდა ერმოლოვი.

აჯანყების დამარცხების შემდეგ, როგორც ჩვეულებრივ, მთავრობა შეუდგა აჯანყებულთა დასჯას. იმერეთში, რაჭასა და გურიაში დაიწყეს „დამნაშავეებისა“ და „მოღალატეების“ ძებნა, რაც დიდხანს გაგრძელდა. დაპატიმრებულთა დიდი ნაწილი ციხეებში გამოკეტეს, ხოლო შემდეგ რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებსა და ციმბირში გადაასახლეს.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

მთავრობამ სახაზინოდ გამოაცხადა აჯანყების აქტიურ მონაწილეთა მამულები. აჯანყებულთა დიდი ნაწილი ციხეებსა და გადასახლებაში დაიხოცა, მხოლოდ მცირე ნაწილმა შეძლო შემდეგში დაბრუნებულიყო სამშობლოში.

აჯანყების დამარცხების შემდეგ რუსეთის მთავრობა დიდი სიფრთხილით მოეკიდა საეკლესიო რეფორმის გატარებას დასავლეთ საქართველოში. მისი განხორციელება წლების მანძილზე გრძელდებოდა.

(საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი 4, თბილისი, 1973 წელი)

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **38.1.** დოკუმენტის მიხედვით, რატომ იყო მოსალოდნელი საეკლესიო გადასახადების შემცირება?

(1) **38.2.** დოკუმენტის მიხედვით, რატომ იყო რეფორმით უკმაყოფილო მაღალი სამღვდელოება?

(1) **38.3.** დოკუმენტში დახასიათებული ქართველი თავადების „ტრადიციული პოზიციისა“ და ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით, თქვენი აზრით, რა პოზიციას დაიკავებდა აჯანყებისას თავადების უმეტესობა? მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(1) **38.4.** დოკუმენტის მიხედვით, რატომ იყო რეფორმით უკმაყოფილო დაბალი სამღვდელოება?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(1) **38.5.** დოკუმენტის მიხედვით, სრულად ჩამოთვალეთ დასავლეთ საქართველოს რომელ კუთხეებში მიმდინარეობდა აჯანყება?

(1) **38.6.** დოკუმენტის მიხედვით, მოიტანა თუ არა რაიმე სახის დადებითი შედეგი აჯანყებამ? მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(2) **38.7.** დოკუმენტის მიხედვით, რა საშუალებებით გეგმავდა რუსეთის ხელისუფლება სახელმწიფო შემოსავლის გაზრდას?

(2) **38.8.** დოკუმენტის მიხედვით, სად იმყოფებოდა აჯანყების დაწყებისას ერმოლოვი და ვინ ასრულებდა მის მოვალეობას საქართველოში?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(2) **38.9.** დოკუმენტის მიხედვით, დაასახელეთ დაპატიმრებული სასულიერო პირები და კონკრეტულად რაში ედებოდათ მათ ბრალი?

(2) **38.10.** დოკუმენტის მიხედვით, სასჯელის რა ფორმა გამოიყენა ხელისუფლებამ დაპატიმრებისა და გადასახლების გარდა და ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით, თქვენი აზრით, დოკუმენტშივე მოხსენიებული რომელი სოციალური ფენის წარმომადგენლებს შეეხებოდა ის უმთავრესად? მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე